

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

IV კვარტალი, 2020

მოკლე შეჯამება

- წინასწარი მონაცემებით ეკონომიკურმა ზრდამ 2020 წელს შეადგინა -6.1 პროცენტი
- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის 2021 წელს: 4.3 პროცენტი
- მეოთხე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 3.3 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.9 პროცენტი
- ექსპორტის შემცირდა წლიურად 11.6 პროცენტით
- იმპორტის შემცირდა წლიურად 17.2 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის შემცირდა 93.8 პროცენტით
- რეფინანსირების განაკვეთი უცვლელია და შეადგენს 8 პროცენტს



სარჩევი

რეალური სექტორი	4
ეკონომიკური ზრდა	4
დასაქმება და უმუშევრობა	6
ფასების დონე	7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა	9
საგარეო სექტორი	11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საგარეო ვალი	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა	13
ტურიზმი	14
ფულადი გზავნილები	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	16
გაცვლითი კურსი	17
ფისკალური სექტორი	18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება	18
საქართველოს სახელმწიფო ვალი	20
მონეტარული სექტორი	21
კერძო სერტორის ლარიზაცია	21
სესხების მიმოხილვა	22
დეპოზიტების მიმოხილვა	23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	24
საპროცენტო განაკვეთები	25

რეალური სექტორი


ეკონომიკური ზრდა

2020 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის კლებამ 7.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2020 წლის საშუალო რეალური ზრდა -6.1 პროცენტით განისაზღვრა. აღნიშნული კლება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2020 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, მშენებლობა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი. ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სფეროებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, სამთომომპოვებითი მრეწველობა. მეოთხე კვარტალში რეალურმა ზრდამ საშუალოდ -6.5 პროცენტი შეადგინა.


2020 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა -5.6 პროცენტით განისაზღვრა. მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა გართობისა და დასვენების სექტორში (-32.4 პროცენტი წ/წ). ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის (+2.3 პროცენტი წ/წ) და მშენებლობის (+2 პროცენტი წ/წ) სექტორებში.

წლის დასაწყისში მშპ-ის ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა მოხმარება, რომლის წლიური ზრდა შეადგენდა 9.9 პროცენტს, ხოლო მისი წვლილი მთლიან ზრდაში უტოლდებოდა 8.3 პროცენტს. იმის მიუხედავად, რომ 2019 წელს ექსპორტის ზრდა მნიშვნელოვნად აჭარბებდა იმპორტის ზრდას და დადებით გავლენას ახდენდა ეკონომიკურ ზრდაზე, პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების გამო, წმინდა ექსპორტის წილმა 2020 წლის მესამე კვარტალში უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში, -18.4 პროცენტი. ამავე დროს, გაიზარდა მოხმარების კომპონენტების წვლილი ზრდაში, 14.7 პროცენტი. მეორე კვარტალის მსგავსად, მესამე კვარტალში აღინიშნება ინვესტიციების უარყოფითი კონტრიბუცია მთლიან ზრდაში.


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




დიაგრამა 2: სექტორების ზრდა, 2020 კვ III



დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2020 წლის დასაწყისში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო, მსოფლიოსა და რეგიონში შემცირებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე, მოსალოდნელია ეკონომიკური შენელება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით, 2020 წელს ეკონომიკური ზრდა გახდება უარყოფითი და გაუტოლდება -5 პროცენტს. ეკონომიკა დაიწყებს გაჯანსაღებას 2020 წლის მეოთხე კვარტალში და პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს ეკონომიკური ზრდა გაუტოლდება 4.3 პროცენტს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდვების მოხსნით და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებით. თუმცა, ნებისმიერი ტიპის პროგნოზი აღნიშნული ვითარების ფონზე, ექვემდებარება დიდ გაურკვევლობას, რაც უკავშირდება არსებული პანდემიის ხანგრძლივობას. სსფ-ის 2020 წლის ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით, 2021-2025 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 5.5 პროცენტი იქნება, რაც აჭარბებს რეგიონის (3.6 პროცენტი) და ევროზონის (2.7 პროცენტი) საშუალო მაჩვენებელს აღნიშნულ პერიოდში.

მოსალოდნელია, რომ 2020 წელს რეგიონში შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის ფონზე შემცირებული ექსპორტი, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება და ფულადი გზავნილების კლება გააფართოვებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ-ს 9.7 პროცენტამდე. ამავე დროს, გლობალური რისკების ზრდა შეამცირებს კერძო ფინანსურ ნაკადებს და გადაავადებს ინვესტიციებს, რაც დამატებით შეამცირებს მშპ-ს ზრდის ტემპს. გახანგრძლივებული ეკონომიკური შენელება მოითხოვს ფისკალურ სტიმულებს და მონეტარული პოლიტიკის მოქნილობას, ხოლო საბაზრო წნეხის საპასუხოდ უნდა შენარჩუნდეს გაცვლითი კურსის მოქნილობა და მოხდეს რეზერვების გამოყენება, რომელსაც თან ახლავს პროაქტიული ზომები ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ხელისუფლების მიერ მობილიზებული იქნა დონორების დახმარება გარე და ფისკალური ბუფერების შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს შოკის საპასუხო ღონისძიებების ჩატარებას და ნდობის გაძლიერებას რისკების შესამცირებლად.




დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლის დეკემბერში სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებდა თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას და სამუშაო ძალის დამატებითი ინდიკატორების გაანგარიშებას. აღნიშნული ცვლილებების შემდგომ, მოხდა ისტორიული მონაცემების გადანგარიშება და უმუშევრობის დონის მაჩვენებლის ზრდა, ხოლო დასაქმების დონის მაჩვენებლის შემცირება.


2020 წლის მესამე კვარტალში უმუშევრობის დონემ 17 პროცენტი შეადგინა, რაც 1.3 პპ-ით ნაკლებია წინა კვარტლის მნიშვნელობაზე. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 19.2 პროცენტს (+1.7 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 13.7 პროცენტს (-2.1 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2020 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 50.3 პროცენტი შეადგინა. 2020 წლის მესამე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 14.5 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 18.9 პროცენტი.

COVID-19 ეპიდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შემცირების გამო, რომელმაც 2020 წლის მესამე კვარტალში შეადგინა -5.6 პროცენტი, დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 3.2 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირებულია დასაქმების დონე. აღნიშნულის შედეგად, პროდუქტიულობა (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე) წლიურად შემცირდა 2.4 პროცენტით. ამავე დროს, 1.8 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2020 წლის მესამე კვარტალის მდგომარეობით შეადგენს 1239 ლარს.


დიაგრამა 6: უმუშევრობის დონე - მეთოდოლოგიის ცვლილება



დიაგრამა 7: შრომის ბაზრის ინდიკატორები



დიაგრამა 8: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)




ფასების დონე

მიმდინარე პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკაზე ხდება მნიშვნელოვანი წნეხი როგორც მიწოდების, ასევე - მოთხოვნის მხრიდან. COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო არსებული შეზღუდვები ართულებს და ანელებს წარმოებას, რაც იწვევს დანახარჯების ზრდას, ეს კი აისახება საბოლოო პროდუქტის ფასზე. ამასთან ერთად, არსებული ლარის გაუფასურება ზრდის იმ ფირმების ხარჯებს, ვისაც გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში, რაც იმპორტირებულ ინფლაციასთან ერთად განაპირობებს ინფლაციის ზრდას. ამავე დროს, პანდემიასთან დაკავშირებული სოციალური დისტანცირების ზომების და შემცირებული ეკონომიკური აქტივობის გამო მცირდება როგორც ადგილობრივი, ასევე - უცხოური მოთხოვნა, რაც განაპირობებს ინფლაციის შემცირებას. შესაბამისად, საბოლოო ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფაქტორის გავლენა იქნება დომინანტური. 2020 წლის დასაწყისში შეინიშნებოდა 2019 წლის ბოლოს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად წლიური ინფლაციის შემცირება 7 პროცენტიდან (2019 წლის დეკემბერი) 6.1 პროცენტამდე (2020 წლის მარტი). 2020 წლის მეოთხე კვარტალში კი წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 3.3 პროცენტი. ამავე დროს საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) მეოთხე კვარტალში გაუტოლდა 4.9 პროცენტს. საბაზო ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი მთლიან ინფლაციასთან შედარებით, გამოწვეულია ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებითა და ფირმების საოპერაციო ხარჯების ზრდით.


ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის შემცირების პროგნოზის გათვალისწინებით, რაც ეყრდნობა იმ მოლოდინს, რომ მოხდება მიწოდების ფაქტორების განეიტრალება და ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით ფასების შემცირება, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, ნომინალური გაუფასურება შეინარჩუნებს ინფლაციურ ზეწოლას 2020 წლის განმავლობაში, მაგრამ სასაქონლო ფასების შემცირება, შიდა მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ინფლაციის 2021 წლის ბოლოსთვის 3 პროცენტიან ნიშნულთან მიღწევას.

დიაგრამა 9: წლიური ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ლარის გაუფასურების მიუხედავად, ადგილობრივი ინფლაცია აჭარბებს იმპორტირებულ ინფლაციას. 2020 წლის მეოთხე კვარტლის ჭრილში, ადგილობრივი ინფლაცია გაუტოლდა 1.8 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულმა ინფლაციამ შეადგინა 0.4 პროცენტი (ყველაზე დაბალი ბოლო 3 წლის განმავლობაში). აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შეფარდებით მაღალი წონის დაკავებით.

დიაგრამა 11: ინფლაციის დეკომპოზიცია, IV კვარტალი, 2020




წყარო: საქსტატი

რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის გამო შეფერხებულია ეკონომიკური აქტივობა როგორც განვითარებულ, ასევე - მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2021 წლის იანვარში განახლებული პროგნოზის თანახმად, გლობალური ზრდა 2020 წელს გაუტოლდება -3.5 პროცენტს, რაც 2020 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით მეტია 0.9 პროცენტული პუნქტით. თუმცა, ამავე დროს, სსფ-ს მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია გლობალური ზრდა 5.5 პროცენტის მნიშვნელობით, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით მეტია ოქტომბრის პროგნოზთან შედარებით. განახლებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებული ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა უდრის -4.9 პროცენტს 2020 წელს, და 4.3 პროცენტს 2021 წელს. ამავე დროს, მზარდი და განვითარებადი ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2020 წელს უდრის -2.4 პროცენტს, ხოლო 2021 წელს აღწევს 6.3 პროცენტს. სსფ-ის იანვრის პროგნოზის მიხედვით, ევროზონის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეადგენს -7.2 პროცენტს, ხოლო 2021-ში კი 4.2 პროცენტს. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გამო ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეცილობით, ინვესტიციებისა და ექსპორტის შემცირებით, რაც გამოწვეულია სავაჭრო პარტნიორების მოთხოვნის შემცირებით. მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო სექტორის გამოშვება და საცალო გაყიდვები. ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით, ინფლაციის დონე 2020 წელს 0.4 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 0.9 პროცენტი.


თურქეთისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტიციების შემცირება და გაუარესებული სავაჭრო ბალანსი. ამის ფონზე, საგანგებო ვითარებამ და გლობალურმა პანდემიამ დამატებითი ზეწოლა მოახდინა თურქეთის ეკონომიკაზე. სსფ-ს პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის რეალური ეკონომიკური ზრდა თურქეთში 1.2 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2021-ში კი 6 პროცენტი იქნება. თურქული ლირის გაუფასურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. სსფ-ის ოქტომბრის შეფასებით, 2020 და 2021 წლებში, ინფლაციის მოსალოდნელი მნიშვნელობა შეადგენს 11.9 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 1.2

დიაგრამა 12: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


დიაგრამა 13: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: A Long and Difficult Ascent. Washington, DC, October 2020.
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Policy Support and Vaccines Expected to Lift Activity. Washington, DC, January 2021

დიაგრამა 14: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



დიაგრამა 15: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



პროცენტიდან -3.7 პროცენტამდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -0.9 პროცენტი. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 2020 წელი რუსეთისთვის, რადგან კორონავირუსის პანდემიასთან ერთად, ეკონომიკურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად იმოქმედა ნავთობის საერთაშორისო ფასების შემცირებამ. შემცირდა ნავთობმოპოვების და გადამუშავების სექტორების გამოშვება, რამაც გაუარესებულ საგარეო მოთხოვნასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი. სსფ-ის იანვრის შეფასებით, 2020 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში -3.6 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2021-ში კი მოსალოდნელია 3 პროცენტიანი ზრდა. ნავთობის ფასის შემცირების გამო, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტი, რაც სსფ-ის ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით 2020 წელს გაუტოლდება მშპ-ს -5.3 პროცენტს, ხოლო 2021 წელს გაუტოლდება -2.6 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან შემცირდება 2019 წელთან შედარებით 3.8 პროცენტიდან 1.2 პროცენტამდე 2020 წელს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 1.8 პროცენტი.

ნავთობის ფასის შემცირება და კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ს შეფასებით, 2020 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა -4 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს კი 2 პროცენტი. 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის შეფარდება მშპ-თან, 8.1 პროცენტიდან -6.3 პროცენტამდე 2020 წელს, და გაუტოლდება -5.8 პროცენტს 2021 წელს. ასევე მნიშვნელოვანი შემცირებაა მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-თან შეფარდებაში, რომლის მნიშვნელობა 2019 წელს შეადგენდა 9.1 პროცენტს, ხოლო სსფ-ის შეფასებით 2020 წელს გაუტოლდება -3.6 პროცენტს, და 2021 წელს მიაღწევს -4.4 პროცენტს. მძიმე ეპიდემიოლოგიური სურათის, შემცირებული ინვესტიციებისა და ექსპორტის გამო, სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს განისაზღვრა -4.5 პროცენტის დონეზე, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 3.5 პროცენტიანი ზრდა. ბოლო პერიოდში შემცირებული ექსპორტისა და გაზრდილი იმპორტის ფონზე, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან სსფ-ს ოქტომბრის პროგნოზის მიხედვით შეადგენს -8.8 პროცენტს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -7.3 პროცენტი.

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: A Long and Difficult Ascent. Washington, DC, October 2020.
International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Policy Support and Vaccines Expected to Lift Activity. Washington, DC, January 2021


საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი


2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 11.2 და 11.7 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად. ხოლო მესამე კვარტალში დეფიციტი 13 პროცენტამდე გაიზარდა. იმის ფონზე, რომ 2019 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 5.5 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, 2020 წლის სამ კვარტალში გამოვლენილი ტენდენცია მნიშვნელოვან გაუარესებას წარმოადგენს. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია კორონა პანდემიის გამო ჩაკეტილი საზღვრების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსით. ბოლოს პერიოდში, იმპორტირებულ საქონელზე მზარდ მოთხოვნას მომსახურების ექსპორტის მზარდი მიწოდება უზრუნველყოფდა, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის საგარეო ტურიზმი თითქმის ნულამდე შეამცირა. 2008 წლის შემდეგ (2008 წლის მესამე კვარტალი), 2020 წლის მესამე კვარტალში პირველად დაფიქსირდა, რომ მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გასავალზე ნაკლები აღმოჩნდა, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მიმდინარე ანგარიშის ბალანსში (1.1 პ.პ.).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს.


დიაგრამა 16: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



დიაგრამა 17: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




დიაგრამა 18: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




საგარეო ვალი

დიაგრამა 19: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 20: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი.
შენიშვნა: მშპ-ს საზომად გამოყენებულია ბოლო 4 კვარტალის ჯამი

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

2020 მესამე კვარტალის ბოლოს მთლიანი საგარეო ვალი გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი შიდა პროდუქტის 120.4 პროცენტი შეადგინა. ზრდა ძირითადად გამოწვეულია სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, რაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორე და მესამე კვარტალში, მიმდინარე პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოზიდული დაფინანსების გამო.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის ალბით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. 2020 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, ვალის მშპ-თან შეფარდება გაზარდილია 7.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო მესამე კვარტალში - 6.6 პროცენტული პუნქტით. მესამე კვარტალში ვალის ცვლილებაში მთავარი ფაქტორი იყო გაცვლითი კურსის ცვლილება (+9.2 პროცენტული პუნქტი) და საოპერაციო ცვლილება (+5.0 პროცენტული პუნქტი). თუმცა, სხვა ფაქტორებმა წვლილი შეიტანა ვალის შემცირებაში, ხოლო ფასის ეფექტი 1 პროცენტულ პუნქტზე დაბალი იყო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2020 წლის მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 303 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე ნაკლებია, თუმცა აღემატება წინა ორი კვარტალის მაჩვენებლებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა ძირითადად გაერთიანებული სამეფოდან (38.9 პროცენტი), ნიდერლანდიდან (26.2 პროცენტი), აშშ-


დან (8.0 პროცენტი), იაპონიიდან (5.2 პროცენტი) და პანამიდან (4.8 პროცენტი). რაც შეეხება სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 42.4 პროცენტი შეადგინა საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, ენერგეტიკაში – 12.3 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12.1 პროცენტი, სამთომომპოვებით მრეწველობაში – 10.3 პროცენტი და უძრავ ქონებაში – 6.8 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მთლიან ინვესტიციებში ფიქსირდება რეინვესტირების შედარებით მაღალი დონე, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. კორონა პანდემიის მიუხედავად, 2020 წლის მესამე კვარტალშიც, მეორე კვარტალის მსგავსად, როგორც მთლიანი ინვესტირების, აგრეთვე რეინვესტირების მაღალი დონე დაფიქსირდა. კერძოდ, მისმა მოცულობამ 62 და 61 მილიონი დოლარი შეადგინა მეორე და მესამე კვარტალში, შესაბამისად.

საბარემო ვაჭრობა


2020 წელს, მსოფლიოში გავრცელებული ეპიდემიის და ქვეყნების უმრავლესობის მიერ შეზღუდვების დაწესების ფონზე, შემცირდა საგარეო მოთხოვნა. აღნიშნული ფაქტორების უარყოფითი გავლენა საქართველოს ექსპორტზე, ფულად გზავნილებსა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალზე იქნება უარყოფითი გარკვეული დროის განმავლობაში, ეპიდემიის ირგვლივ არსებული გაურკვევლობის გამო. ამავე დროს, ქვეყნის შიგნით შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის გამო, ასევე შემცირდა იმპორტის მოცულობა. 2020 წელს ნომინალური ექსპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -12.0 პროცენტი და გაუტოლდა 3,342 მლნ აშშ დოლარს, ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ კი შეადგინა 3.5 პროცენტი. რაც შეეხება მეოთხე კვარტალს, ნომინალური ექსპორტი 11.6 პროცენტით შემცირდა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი - 5.5 პროცენტით გაიზარდა, რაშიც რეალურმა ზრდამ შეადგინა 4.2 პროცენტი. ამავე დროს, 2020 წელს იმპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -15.9 პროცენტი და გაუტოლდა 9,517 მლნ აშშ დოლარს, მხოლოდ მეოთხე კვარტალში -17.2

დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 23: FDI-ის განაწილება, 2020 კვ3




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: საგარეო ვაჭრობა, 2020




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, მხოლოდ აქედან რეალურმა ზრდამ შეადგინა -14.2 პროცენტი.

2020 წლის მეოთხე კვარტალში, საინვესტიციო საქონლის იმპორტი - 24.3 (-6.5 პ.პ წილი) პროცენტით, შუალედური საქონლის იმპორტი 13.8 პროცენტით (-5.1 პ.პ. წილი), ხოლო სამომხმარებლო საქონლის იმპორტი შემცირდა 14.8 პროცენტით (-5.4 პ.პ. წილი). 2020 წლის მეოთხე კვარტალში, ტრადიციული საქონლის ექსპორტი შემცირდა 4.2 პროცენტით, ხოლო ნედლეულის ექსპორტი გაიზარდა 11 პროცენტით. 2020 წლის მეოთხე კვარტალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავეს 187.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 20.0 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 99.9 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 10.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 67.0 მლნ. აშშ დოლარით (7.1 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი შეადგინა მსუბუქი ავტომობილების ჯგუფმა 159.4 მლნ აშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 7.1 პროცენტი), მეორე ადგილი ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა 131.9 მლნ. აშშ დოლარით (5.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 117.9 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 5.2 პროცენტი) დაიკავეს.

ტურიზმი

2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შედარებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწყებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს, სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

რაც შეეხება 2020 წელს, COVID-19 ეპიდემიის გავრცელებიდან თავის არიდების მიზნით, მარტში მოხდა საზღვრების ჩაკეტვა და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტა საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად მკვეთრად შემცირდა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა. შესაბამისად, 2020 წლის მეორე




კვარტალიდან მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც ვიზიტორების რაოდენობა, ასევე - ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. 2020 წლის მეოთხე კვარტალში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 146 ათასი შეადგინა, მაშინ როდესაც გასული წლის მეოთხე კვარტალში იგივე მაჩვენებელი 2,081 ათასი იყო და წლიურად შემცირება 93 პროცენტზე დაფიქსირდა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში წლიურად 93.8 პროცენტით შემცირდა და 42.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საზღვრების გახსნამდე და ტურისტული მიმოსვლების განახლებამდე მოსალოდნელია, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები განაგრძობს შემცირებას.

ფულადი გზავნილები


2020 წლის მეოთხე კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 480.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 18.3 პროცენტით მეტია წინა წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით შეინიშნება 2.9 პროცენტიანი კლება. აღსანიშნავია, რომ მეოთხე კვარტალში გზავნილების ზრდა, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ძირითადად განპირობებულია ევროპის ქვეყნებიდან, ისრაელიდან და უკრაინიდან გზავნილების ზრდით. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ფულადი გზავნილები ამ ქვეყნიდან შემცირებულია 3.1 პროცენტით. გარდა ამისა, წლის დასაწყისში ნავთობზე ფასების შემცირებამ დამატებითი დარტყმა მიაყენა ისეთი ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული ნავთობზე. აღნიშნული უარყოფითი შედეგი განსაკუთრებით გამოჩნდა პირველ კვარტალში, როდესაც რუსეთის შემთხვევაში შესამჩნევი იყო რუბლის მკვეთრი გაუფასურება, რაც აისახა რუსეთიდან გზავნილების მოცულობაზე. მეორე კვარტალში კი, მიუხედავად იმისა, რომ აპრილის ბოლოს დაიწყო ნავთობზე ფასების მცირედით ზრდა და რუბლიც დასტაბილურდა, რუსეთიდან გზავნილები კვლავ შემცირდა. მეოთხე კვარტალში გზავნილების მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში ძირითადი წვლილი შეიტანა ისრაელმა, იტალიამ და უკრაინამ. ამასთან, შემცირება დაფიქსირდა რუსეთიდან და ყირგიზეთიდან. 2020 წელს წლიურად გზავნილები 9.6 პროცენტით გაიზარდა, სადაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იტალიამ და უკრაინამ (ჯამურად 7 პროცენტიანი წვლილი), ხოლო რუსეთის წვლილი უარყოფითია, -4.4 პროცენტით.

დიაგრამა 28: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 30: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველოს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებთან. 2020 წლის პირველი სამი კვარტლის საგადასახდელო ბალანსის მიხედვით გაზრდილია ევროკავშირზე დამოკიდებულება. რაც შეეხება მხოლოდ მესამე კვარტალს, გაზრდილია მთლიანი დამოკიდებულება რუსეთსა და უკრაინაზე. დამოკიდებულების ზრდა რუსეთიდან და უკრაინიდან ძირითადად გამოწვეულია ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის ზრდით, თუმცა მნიშვნელოვანია რუსეთიდან ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მკვეთრი კლება, რაც მანამდე 6-7 პროცენტის ფარგლებში იყო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეიმჩნეოდა ტრანსფერების წილის შემცირება და ტურიზმის და ექსპორტის წილების ზრდა. 2019 წლის მეორე ნახევარში რუსეთის მიერ დაწესებულმა ფრენების აკრძალვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტების რაოდენობა რუსეთიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიმდინარე ანგარიშში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი რუსეთიდან. თუმცა სხვა ქვეყნებიდან მგზავრების რაოდენობის ზრდამ აღნიშნული დანაკლისი აანაზღაურა. რაც შეეხება 2020 წელს, პირველ სამ კვარტალში ტურიზმის წილი შემცირებულია და ნულთან ახლოსაა, თუმცა გაზრდილია ფულადი გზავნილების წილი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირზე დამოკიდებულება გაიზარდა ტურიზმის შემცირების მიუხედავად, რაც გამოწვეულია როგორც ექსპორტის, ასევე - ფულადი გზავნილების წილის ზრდით. მესამე კვარტალში გზავნილების წილი 5 პროცენტიდან 10 პროცენტამდე არის გაზრდილი.


დიაგრამა 31: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი


გაცვლითი კურსი

დიაგრამა 32: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 33: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კორონა ვირუსის პანდემიისა და ნავთობის ფასის საერთაშორისო ვარდნის ფონზე აშშ დოლარი გამყარდა განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მიმართ, რაც შეიმჩნევა რეგიონის ქვეყნების ვალუტების შეწონილი ინდექსის დადმავალ ტენდენციაშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლარი გაუფასურდა რეგიონის ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში უფრო მნიშვნელოვანი წილი უკავია, ვიდრე - რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში, არსებულმა პანდემიამ კი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორს მიაყენა.

2020 წლის მეოთხე კვარტალში ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ გაუფასურდა 9.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 5.1 პროცენტით 2020 წლის მესამე კვარტალთან შედარებით. რაც შეეხება გაცვლითი კურსის ცვლილებას 2020 წლის პირველ იანვართან შედარებით, დოლარის მიმართ ლარის კურსი 12.5 პროცენტით არის გაუფასურებული, ევროს მიმართ კი 20.1 პროცენტით. ლარი გამყარებულია რუსული რუბლისა და თურქული ლირას მიმართ. დეკემბრის მდგომარეობით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლით კურსის ინდექსი გაუფასურებულია თავისი საშუალოვადიანი ტრენდიდან და -10 პროცენტით არის გადახრილი. რაც შეეხება ფასების დონით კორექტირებულ გაცვლით კურსს, დეკემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მნიშვნელობა ტრენდიდან -8.2 პროცენტით არის გადახრილი.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკ 2020 - 1 იან 2020	31 დეკ 2020 - 1 იან 2019
ევრო	4.0233	▼ -20.1%	▼ -24.0%
აშშ დოლარი	3.2766	▼ -12.5%	▼ -18.4%
თურქული ლირა	0.4462	▲ 8.0%	▲ 13.3%
რუსული რუბლი	0.0440	▲ 4.7%	▼ -12.8%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	110.25	▼ -7.5%	▼ -13.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (დეკემბერი, 2020)	104.93	▼ -7.4%	▼ -12.3%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფისკალური საქმე

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10,510 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მოხილვებულ იქნა 10,964 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 104.3 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მოხილვებულა 3,326.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3,240 მლნ ლარი) 102.7 პროცენტია.

- მოგების გადასახადის სახით მოხილვებულა 919.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (840 მლნ ლარი) 109.5 პროცენტია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მოხილვებულა 4,837.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,635 მლნ ლარი) 104.4 პროცენტია.

- აქციზის სახით მოხილვებულა 1,619.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,325 მლნ ლარი) 122.2 პროცენტია.


- იმპორტის გადასახადის სახით მოხილვებულა 74.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 მლნ ლარი) 106.2 პროცენტია.

- ქონების გადასახადის სახით მოხილვებულა 433.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (400 მლნ ლარი) 108.4 პროცენტია.


გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 613.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მოხილვებულ იქნა 457.9 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 74.7 პროცენტი. სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 040.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მოხილვებულ იქნა 982.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94.5 პროცენტი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მოხილვებულ იქნა 207.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150.0 მლნ ლარი) 138.6 პროცენტია. ფინანსური აქტივების კლებიდან მოხილვებულ იქნა 167.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (75.0 მლნ ლარი) 223.2 პროცენტია.

საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2020 წლის მონაცემებით შეადგენს 88.4 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან


დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო




დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 37: ნაერთი ბუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიიღო 10,964 მლნ ლარი, რაც 4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად შემცირდა 4.5 პროცენტით და გაუტოლდა 3,326.7 მლნ ლარს. ყველაზე მაღალი ზრდა შეინიშნება მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით, რომელიც გაიზარდა 6.1 პროცენტით წინა წელთან შედარებით და გაუტოლდა 919.4 მლნ ლარს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი უკავია დღგ-დან მიღებულ შემოსავალს, რომლის წილი 2020 წელს შეადგენს 44.1 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი უდრის -7.7 პროცენტს. ასევე 8.6 პროცენტით შემცირდა ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი და შეადგინა 433.7 მლნ ლარი. აქციზის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი კი გაიზარდა 7.5 პროცენტით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 1,619.4 მლნ ლარი, რაც გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის 14.8 პროცენტია. კლება დაფიქსირდა იმპორტის გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში, რომლის წილი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში შეადგენს 0.7 პროცენტს და წლიურად შემცირდა 5.9 პროცენტით.


2020 წელს ხარჯები წლიურად გაიზარდა 23.7 პროცენტით და შეადგინა 13,396.8 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 41.6 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 32.8 პროცენტს. აღნიშნული ზრდა გარკვეულწილად გამოწვეულია პანდემიის პირობებში შემუშავებული სოციალური ღონისძიებებით. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 51.6 პროცენტს და შეადგინა 1,641.5 მლნ ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯების 12.3 პროცენტს. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 13.8 პროცენტი), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 14 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 5.7 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 12.2 პროცენტი), 2020 წელს წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 3.7 პროცენტით, 13.4 პროცენტით, 25.9 პროცენტით და 11.8 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.

საქართველოს სახელმწიფო ვალი


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 30,875.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 6,186.1 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისტვის“) – 200.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 152.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 723.4 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 5,069.1 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 24,689.7 მლნ ლარს.


დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი




სახელმწიფო საგარეო ვალი



მრავალმხრივი



ორმხრივი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონეტარული სექტორი

პერძო სერთორის ლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 44.3 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 59.4 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 29 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური, ასევე - სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 87.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 33.6 პროცენტს.

აგრეთვე მზარდია დეპოზიტების ლარიზაცია, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 38 პროცენტს უტოლდება. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2021 წლის 1 იანვარს, იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 52.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 24.3 პროცენტს შეადგენს.


აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მზარდი ტენდენცია შეინიშნება ვადიანი დეპოზიტების ლარიზაციაში, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 39.4 პროცენტს გაუტოლდა და მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორად იქცა. მცირედი კლება შეინიშნება მიმდინარე ანგარიშების ლარიზაციაში და 2021 წლის პირელი იანვრის

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა



დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



მდგომარეობით 40.6 პროცენტს უტოლდება, ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 32.7 პროცენტს შეადგენს.

სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიურ ზრდაში კლების ტენდენცია შეინიშნება და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 10.9 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაში რამაც განაპირობა 2021 წლისათვის მისი მნიშვნელობის 11 პროცენტამდე შემცირება, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 10.9 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში არსებული დინამიკა რომლის მიხედვითაც სესხების ზრდის ძირითად მამოძრავებელს იურიდიული პირების სესხების ზრდა წარმოადგენდა, 2021 წლის დასაწყისისთვის შეიცვალა და როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირების სესხების ზრდას თანაბარი კონტრიბუცია შეაქვს მთლიან ზრდაში.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში აღმავალი ტენდენცია გააჩნია და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 18.9 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი კლების დინამიკა დაფიქსირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების დინამიკაში. მესამე კვარტალთან შედარებით 7.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 2021 წლის იანვრისათვის 5.2 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ არსებული დინამიკა ხელს უწყობს სესხების ლარიზაციის ზრდას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებაზე გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 20.3 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 30.3, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 15.8 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 იანვარს 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკა შეინიშნება ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდაში, რამაც განაპირობა 1 იანვრის მდგომარეობით წლიური ზრდის 40.1 პროცენტის მაჩვენებლის მიღწევა, შედარებით სტაბილურია უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა და იმავე პერიოდში 9 პროცენტს შეადგენს. არსებული განვითარება დადებით გავლენას ახდენს დეპოზიტების ლარიზაციაზე.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 10.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნა და ამავე პერიოდში მისი მნიშვნელობა 29.4 პროცენტს გაუტოლდა.


რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2021 წლის იანვრის დასაწყისში 9.2 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე ანგარიშების ზრდის ტემპის შენელება დაბალანსებული იყო ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი მატებით, 1 იანვრის მდგომარეობით ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 32.2 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ 9.7 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 45: სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 28 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 8 პროცენტის ნიშნულზე შენარჩუნების შესახებ. 2020 წლის 9 დეკემბერს, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკის მიხედვით, წლიური ინფლაციის შემცირების ტენდენცია გაგრძელდება და ის 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ დონესთან ახლოს იმოძრაებს. ინფლაციის შემცირების დინამიკას სუსტი ერთობლივი მოთხოვნა განაპირობებს და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული გავლენა მომავალ პერიოდებშიც შენარჩუნდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ასევე გაითვალისწინა მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები, როგორცაა პანდემიის ფონზე დამატებითი შეზღუდვებით გამოწვეული წარმოების ხარჯების ზრდა. ეროვნული ბანკის მიხედვით, ეკონომიკის ჯერ კიდევ მაღალი დოლარიზაციის გამო მონეტარული პოლიტიკის შერბილების შესაძლებლობა ლიმიტირებულია.

საპროცენტო განაკვეთები

2021 წლის 1 იანვრისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.2 პროცენტს უტოლდება.


2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.3 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.7 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.2 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის 1 იანვარს საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 23 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის დეკემბერში 17.1 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 7.9 პროცენტს.


იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის დეკემბრის ბოლოს 12.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

